ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის

2021 სასწავლო წლის გაწეული მუშაობის ანგარიში

ა(ა)იპ ონის ბაგა-ბაღი მდებარეობს აღმაშენებლის ქ.N64-ში. დღეისათვის ბაგა-ბაღში დასაქმებულია 43 თანამშრომელი, რეგისტრირებულია 155 ბავშვი, დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

ბაგა-ბაღის მიზანია სკოლისათვის ბავშვის მომზადება, მისი ჰარმონიული განვითარება, ყველა ბავშვისათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა. რაც ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, გონებრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას. ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას. სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისათვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რაც ბავშვს საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს. ბავშვზე ორიენტირებული სწავლება ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს:

1. ბავშვები იძენენ ცოდნას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გარემოსთან ურთიერთობით.

2. აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვის განვითარებას ისეთი სწავლებით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, საჭიროებასა და განვითარების დონეს.

სკოლამდელი განათლების პროგრამა ეფუძნება „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“ და მისაღწევი შედეგების სახით აღწერს იმ კონკრეტულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს ბავშვმა ბაღის დასრულებისას ხუთ საგანმანათლებლო სფეროში: მეტყველება, მოსწავლედ ჩამოყალიბება, ფიზიკური განვითარება, სამყაროს აღმოჩენა, ხელოვნება.

2020- 2021სასწავლო წლიდან ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს ხუთი სააღმზრდელო ჯგუფი. 2-3 წლ. ჯგუფი- ბაგა, 3-4წლ. ჯგუფი, 3-5წლ. ჯგუფი, 4-5წლ. ჯგუფი -ბაღი, 5-6წლ. ჯგუფი. სოფ. გლოლის საბავშვო ბაღი, სოფელი უწერის სასკოლო მზაობის ცენტრი, სოფელი პიპილეთის სასკოლო მზაობის ცენტრი და სოფელი ღების სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებდა2021 წლის სექტემბრამდე.

2020-2021 სასწავლო წელს პანდემიისა და ბაგა-ბაღში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო შეფერხებულია სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროცესი. 2021 წლის მარტის თვიდან 5-6 წლიანთა სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებდა სსიპ ონის საჯარო სკოლაში 3 საათიანი სამუშაო დროით, სოფელი გლოლის საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს მარტის თვიდან, მიმდინარეობს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი დღეში სამჯერადი კვებით. 09.00საათიდან 18.00საათამდე, ასევე სოფელი ღების, უწერისა და პიპილეთის ცენტრებში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდებოდა დღეში 3 საათიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამით.

ყველა თანამშრომელმა 2020 წლის ოქტომბერში გაიარა ტრენინგი თემაზე: „კოვიდ 19-ის პრევენციის გზები, პირადი ჰიგიენა, გარემოს მოწყობა.“ ტრენინგი ჩაატარა ქალთა საზოგადოება „ თანადგომამ“.

აპრილის თვეში ბაგა-ბაღში დასაქმებულმა ყველა აღმზრდელმა გაიარა ტრენინგი თემაზე „ადრეული წიგნიერება და მათემატიკა“ (8-9-10 აპრილი 2021 წელი.) ტრენინგი ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია: „გადავარჩინოთ ბავშვები“-ის მიერ. ამავე ორგანიზაციამ ბაგა-ბაღს საჩუქრად გადმოსცა 140 ცალი საბავშვო წიგნი და 7 ცალი პლანშეტი, მშობლებთან დისტანციური სწავლების განსახორციელებლად. ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის თხოვნით ამავე ორგანიზაციამ დაბეჭდა 40 ცალი მეთოდური სახელმძღვანელო ყველა აღმზრდელისათვის და 150 ცალი სახელმძღვანელო „რჩევები 2-6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისათვის“. არასამთავრობო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები ბაგა-ბაღთან თანამშრომლობა გააგრძელა 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით და ყოველ თვეში დისტანციურად ტარდებოდა ოთხი (4) ტრენინგი - თითოეული ტრენინგი სამი(3) საათის ხანგრძლივობით.

მიმდინარე წელს ბაგა- ბაღმა მოამზადა სკოლისათვის - 44 ბავშვი - ონი, გლოლა -0 , ღები -2, უწერა -2, პიპილეთი-0, სულ 48 ბავშვი, რომლებსაც საჩუქრად გადაეცათ საგანმანათლებლო რესურსი (სახატავი რვეული, ფერადი გუაში, ფერადი ფანქრები, სათლელი, საშლელი, სახატავი ფუნჯები.)

ყოველწლიურად იზრდება ბაგა-ბაღის დაფინანსება.

2021 წლის ბაგა-ბაღის სუბსიდია განისაზღვრა 292 072 ლარით. (ფაქტი)

2021 წლის საანგარიშო პერიოდში გახარჯულია:

1. შრომის ანაზღაურება - 204625

მ.შ -.ხელფასი-196504 ლ.

პრემია - 8121

2. საქონელი და მომსახურეობა - 82819 ლარი

მივლინება-500ლ.

ოფისი - 45789

მ.შ. საკანცელარიო-4200ლ.

მხატვრული და მეთ. ლიტერატურა 1879

კატრიჯი - 450 ლარი

სან. ჯიგიენა - 4200

მიმდინარე რემონტი - 730ლარი.

კომუნალური - 34330 ლარი

მ. შორის - შეშა - 2000

აბრების შეძენა - 500ლრი

ინვენტარი - 24430

ჭურჭელი - 3400

სათამაშოები - 4000

კვება-17 691ლ.

რბილი ინვენტარი - 3500ლარი

ტრანსპორტირების ხარჯი - 439 ლარი

ღონისძიების ხარჯი - 4600ლარი

სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ხარჯი - 250 ლარი

უსაფრთხოების აღჭურვილობა - 4900 ლარი

სპორტული ინვენტარის შეძენა - 4500 ლარი

კივიტა გეორგიკას საწევრო - 150 ლარი

ქირავნობა - 500 ლარი

3. სხვა ხარჯი 1128

მ. შორის - დაგროვებითი საპენსიო ფონდი-1128ლ.

4. არაფინანსური აქტივების ზრდა - 3500

მ. შორის გათბობის - აბონენტად აყვანის ხარჯი - 3500ლარი

სულ: **292072**

ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები გაჯარჯული იქნა ეტაპობრივად წლის განმავლობაში. შეძენილი იქნა ბაგა-ბაღის საჭიროებისათვის მაგარი ინვენტარი, სათამაშოები, ჭურჭელი, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა, სპორტული ინვენტარი, საახალწლო ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა საჭირო აქსესუარები , ბაგა-ბაღში ჩარიცხულ ყველა ბავშვს დაურიგდა სასურსათო კალათა თანხით 16429 ლარი და საახალწლო საჩუქარი თანხით 4600 ლარი. სოფელი გლოლის საბავშვო ბაღში დამონტაჟდა უსაფრთხოებისათვის საჭირო აღჭურვილობა. (სხვენი დამუშავებული იქნა ხანძარსაწინაარმდეგო ხსნარით,

შედგენილი იქნა საევაკუაციო გეგმა და გლოლის საბავშვო ბაღში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით).

როგორც თქვენთვის ცნობილია ამჟამად ბაგა-ბაღში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. დადგენილება № 485 27 ოქტომბერი 2017 წლის ტექნიკური რეგლამენტის -ადრეული და სკოლემდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ, დადგენილება № 487 30 ოქტომბერი 2017 წელი. ტექნიკური რეგლამენტის -„ადრეული და სკოლემდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ. შესაბამისად, რაც საშუალებას მოგვცემს წარმატებით გავიაროთ ავტორიზაცია.

როგორც თქვენთვის ცნობილია დღემდე დაუმთავრებელია სარეაბილიტაციო სამუშაოები ბაგა-ბაღში. შესაბამისად ვერ განხორციელდა ბაგა-ბაღში ჩარიცხული აღსაზრდელების მიღება და შესაბამისი მომსახურეობა. აღმზრდელები და მულტიდისციპლინარული ჯგუფი შეძლებისდაგვარად ანხორციელებდნენ დისტანციურ მუშაობას აღსაზრდელთა მშობლებთან. მშობელთა მომართვიანობის შესაბამისად აძლევდნენ საჭირო რეკომენდაციებს.

ვიმოდევნებთ უახლოეს პერიოდში დასრულდება ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები და შესაძლებლობა მოგვეცემა ბაგა-ბაღმა ფუნქციონირება განაგრძოს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

პატისცემით:

ა(ა) იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის

დირექტორი: მზია გუგეშაშვილი

2022 წლის 10 იანვარი